ორმხრივი შეთანხმება (მასალების აზიდვის, გაზის, წყლისა და დენის მრიცხველების დამონტაჟების თაობაზე)	A bilateral agreement (regarding the transportation of materials, and the installation of gas, water, and electricity meters)
ქ.ბათუმი 17.02.2025წ.	Batumi City 17.02.2025r.
ერთის მხრივ, **შპს „ნექსთ ვაით“** (ს/კ: 445539855) (შემდგომში „მხარე 1“ წოდებული) და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი **ლუის ფერნანდო სჩულტზ ხავიერ და სილვეირა (პასპორტის ნომერი: FO169569)** (შემდგომში წოდებული “მხარე 2”), ერთად წოდებულნი, როგორც „მხარეები“ ვმოქმედებთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:	On one side, **LLC "Next White"** (VAT number: 445539855) (hereinafter referred to as "Party 1"), and on the other side, the individual **LUIS FERNANDO SCHULTZ XAVIER DA SILVEIRA** (passport number: FO169569) (hereinafter referred to as "Party 2"), collectively referred to as "the Parties," acting in accordance with the current legislation of Georgia, enter into the following agreement:
1. შეთანხმების საგანი	**1. Subject of the Agreement**
1.1. ამ შეთანხმების მიხედვით, მხარეები ვადასტურებთ, რომ **ლუის ფერნანდო სჩულტზ ხავიერ და სილვეირას** საკუთრებაშია ქ. ბათუმში, ინასარიძის ქ. N27-ში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 1705 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.31.12.050) მრავალსართულიან, მრავალფუნქციურ საცხოვრებელ სახლში, მდებარე უძრავი ქონება მე-16 სართულზე მდებარე აპარტამენტი №11; №12.	1.1. According to this agreement, the parties confirm that **LUIS FERNANDO SCHULTZ XAVIER DA SILVEIRA** are the owners of a non-agricultural land plot of 1705 sq.m. located at 27 Inasaridze Street, Batumi (Cadastral code: 05.31.12.050), on which a multi-story, multi-functional residential building is situated. The property in question is an apartment located on the 16th floor of the building, identified as Apartment №11 and №12.
1.2.მხარეები ვთანხმდებით, რომ მხარე 1, მხარე 2-ის კუთვნილ აპარტამენტში, დამატებით განახორციელებს აპარტამენტის რემონტისთვის საჭირო სამშენებლო მასალების, საჭირო ინვენტარის, ავეჯისა და ტექნიკის კონკრეტულ სართულამდე ლიფტით აზიდვას, ასევე აპარტამენტში არსებული ნარჩენების გადაყრას (ნარჩენი უნდა იყოს წინასწარ შეგროვებული და აპარტამენტის კართან მოთავსებული).	1.2. The parties agree that Party 1 will carry out the transportation of the necessary construction materials, required inventory, furniture, and equipment to the specific floor of the apartment owned by Party 2, using the elevator. Additionally, Party 1 will be responsible for the removal of waste from the apartment (the waste should be pre-collected and placed at the apartment door).
1.3. ამ შეთანხმების 1.2. პუნქტიდან გამომდინარე, მხარე 2 ვალდებულია, მხარე 1-ს დამატებით გადაუხადოს **2028 აშშ დოლარი** (ექვივალენტი	1.3. Based on point 1.2 of this agreement, Party 2 is obligated to pay Party 1 an additional amount of **2028**

ლარში), რომელიც მხარე 2-მა სრულად უნდა გადაიხადოს 2025 წლის 28 თებერვლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული დამატებითი შეთანხმება დაკარგავს იურიდიულ ძალას.	**USD** (equivalent in GEL), which must be fully paid by Party 2 no later than February 28, 2025. Otherwise, the additional agreement will lose its legal force.
1.4. მხარეები ასევე ვთანხმდებით, რომ მხარე 1, მხარე 2-ის კუთვნილ აპარტამენტში, დაამონტაჟებს გაზის, წყლისა და დენის მრიცხველებს და განახორციელებს შესაბამისი აბონენტის რეგისტრაციას, რისთვისაც მხარე 2 ვალდებულია, მხარე 1-ს დამატებით გადაუხადოს **2400 ლარი 2025 წლის 28 თებერვლამდე,** წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული დამატებითი შეთანხმება დაკარგავს იურიდიულ ძალას.	1.4. The parties also agree that Party 1 will install gas, water, and electricity meters in the apartment owned by Party 2 and will carry out the relevant subscriber registration. For this service, Party 2 is obligated to pay Party 1 an additional amount of **2400 GEL by February 28, 2025.** Otherwise, the additional agreement will lose its legal force.
1.5. მხარეები ვთანხმდებით, რომ სარემონტო სამუშაოებისთვის, მასალების აპარტამენტამდე აზიდვის სერვისის მიწოდების ბოლო ვადაა 2025 წლის 30 აპრილი.	1.5. The parties agree that the final deadline for providing the service of delivering construction materials to the apartment is April 30, 2025.
1.6.მხარეები ადასტურებენ, რომ შეთანხმება არ შეიცავს რაიმე ბუნდოვანებას და აღნიშნული შეთანხმება, წარმოადგენს მხარეთა ორმხრივი თავისუფალი ნების შედეგს.	1.6. The parties confirm that the agreement does not contain any ambiguities and represents the result of the mutual free will of both parties.
1.7 ხელშეკრულების ის პირობები (პუნქტები), რომელიც არ შეცვლილა ამ შეთანხმებით, რჩება უცვლელი და ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.	1.7. The terms (points) of the contract that have not been modified by this agreement remain unchanged and retain their legal force.
2. მხარეთა რეკვიზიტები:	**2. Party Details:**
„მხარე 1“	**"Party 1"**
შპს „ნექსთ ვაით“ დირექტორი - გოჩა აფაქიძე	LLC "Next White" Director: Gocha Apakidze
„მხარე 2”	**"Party 2"**
ლუის ფერნანდო სჩულტზ ხავიერ და სილვეირა	LUIS FERNANDO SCHULTZ XAVIER DA SILVEIRA